პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი
პარასკევი
16 მაისი
№ 112 (17755)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

დიდი შრომითი გამარჯვება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი — [illegible] მუშაკებს — დიდ შრომითს გამარჯვებას [illegible] ზის მოპოვების მეათე ხუთწლედის [illegible]

რესპუბლიკის მენავთობეებმა, რომლებიც სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს ახორციელებენ, უზრუნველყვეს წარმოების მოცულობის ზრდის ყოველწლიური მაღალი ტემპი, განსაკუთრებით გვახარებს, რომ ეს მიღწეულია ძირითადად პროდუქციის თვითღირებულების შემცირების პირობებში შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად. არსებითად გაიზარდა გაერთიანება „საქნავთობის“ წვლილი მთლიანად ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ეფექტიანობის მაღალი მაჩვენებლების მიღწევის საქმეში.

წარმატებანი, რომლებიც საქართველოს მენავთობეებმა მოიპოვეს პარტიისა და მთავრობის მიერ ნავთობგაზმომპოვებელი წარმოების განვითარების ტემპის დაჩქარებისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის დასახული ამოცანების გადაწყვეტაში, იმის შედეგია, რომ თავდადებით შრომობდნენ და შემოქმედებითად უდგებოდნენ საქმეს დარგის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივები, ფართოდ იყო გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება. გაერთიანება „საქნავთობი“ 1976 წლის მეოთხე კვარტალიდან მოყოლებული მუდამ იმარჯვებს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, ხოლო 1979 წლის მუშაობის შედეგებისათვის მას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭა. ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის გაერთიანების კოლექტივი საპატიო ლენინური სიგელით დაჯილდოვდა.

რესპუბლიკის მენავთობეთა მთავარი ამოცანაა გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა შემდგომი განვითარება და ეფექტიანობის ამაღლება, ნავთობისა და გაზის ახალი საბადოების აღმოჩენა. ამ საფუძველზე უნდა უზრუნველვყოთ ნავთობგაზმოპოვების არსებითი ზრდა მეთერთმეტე ხუთწლედში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, რესპუბლიკის პროფსაბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის ნავთობის დარგის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურენი არ დასჯერდებიან მიღწეულს, განსაზღვრავენ მეათე ხუთწლედის დავალებათა გადაჭარბებით შესრულების ახალ მიჯნებს და ღირსეულად შეხვდებიან სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო;
საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო,
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი.

• •

მაღალი შეფასების პასუხად

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს

საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის“ მრავალათასიანმა კოლექტივმა, გაეცნო რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოს და ალკკ ცენტრალური კომიტეტის მისალმებას, გადაწყვიტა იკისროს ახალი სოციალისტური ვალდებულებანი 1980 წლის გეგმისა და სოციალისტური ვალდებულებების დამატებით:

— აწარმოოს 45 ათასი ტონა ნავთობი;

— მოახდინოს 12 მილიონი კუბური მეტრი ნავთობის თანამგზავი გაზის უტილიზაცია;

— რეალიზაცია უყოს 500 ათასი მანეთის პროდუქციას;

— გამოუშვას 400 ათასი მანეთის მთლიანი პროდუქცია;

— უზრუნველყოს 150 ათასი მანეთი ზეგეგმური მოგება.

„საქნავთობის“ კოლექტივი დამატებითი სოციალისტური ვალდებულებების შესრულებას უძღვნის სკკპ მომავალ, XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას.

საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის“ კოლეგიური

საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის“ გენერალური დირექტორი რ. თევზაძე; პარტბიუროს მდივანი ნ. ჩიქოვანი; პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე ი. ბუსაძე; კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ბ. ბოვია.

ჩვენი უმთავრესი საგზრუნავი

საქართველო მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკა

უნდა გახდეს!

ლენინური კომუნისტების ლენინური ანდერძი — ეკონომიკური ამოცანა — ეკონომიკური ამოცანა — ეკონომიკური ამოცანა

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა დეკლარაცია

(დასასრული)

ლები კვლავ ზრდიან აქტიურობას, აძლიერებენ ცდებს თავიანთ ბატონობას დაუქვემდებარონ დამოუკიდებელი სახელმწიფოები და ხალხები, გააძლიერონ გამალებული შეიარაღება, რომ უხეშად ერევიან სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში, რაც უკვე მაშინ საფრთხეს უქმნიდა დაძაბულობის შენელების პროცესს, ეწინააღმდეგებოდა ხალხთა მისწრაფებას მშვიდობის, თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და პროგრესისადმი.

მით უფრო მეტი შეშფოთებით აღნიშნავენ ისინი, რომ ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების საქმისადმი საფრთხე მნიშვნელოვნად გაიზარდა. ეს არის ძალის, კონფრონტაციისა და ჰეგემონიზმის იმპერიალისტური პოლიტიკის შემდგომი გააქტიურების, გადაუწყვეტელი საერთაშორისო საკითხების დაგროვების შედეგი. იმპერიალისტური წრეები, რომლებიც ამ პოლიტიკას ადგანან, ამკარად არღვევენ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს, ერევიან მათ საშინაო საქმეებში, სულ უფრო ხშირად იყენებენ საერთაშორისო ურთიერთობაში ძალას ან იმუქრებიან მისი გამოყენებით.

ამავე დროს იქმნება ახალ-ახალი დაბრკოლებანი თანასწორუფლებიან და სამართლიან საფუძველზე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის გარდაქმნის გზაზე. ენერგეტიკული და სანედლეულო რესურსებისათვის ბრძოლაში გაბვითარებადი ქვეყნების წინააღმდეგ სულ უფრო ხშირად იყენებენ ძალას ან ემუქრებიან ძალის გამოყენებით. ეს იწვევს არასტაბილურობას სახელმწიფოთა ურთიერთობაში, დაძაბულობის ახალი კერების წარმოქმნას.

იმპერიალისტური და რეაქციული ძალები ყოველივე ამას იყენებენ სამხედრო ბიუჯეტების გაზრდისათვის, შეიარაღების გრძელვადიანი პროგრამების დაჩქარებისათვის. ამის შედეგად სულ ახალ-ახალი დაბრკოლებები იქმნება უშიშროების განმტკიცების გზაზე ევროპაში, სადაც კვლავ არ არის პროგრესი სამხედრო დაძაბულობისა და განიარაღების საქმეში, გრძელდება სამხედრო ხარჯების, ჯარებისა და შეიარაღების ზრდა, სულ უფრო მეტ მსჯელობით გროვდება მოსპობის საშუალებანი, განსაკუთრებით ბირთვული იარაღი, რომელიც ემუქრება კონტინენტის ხალხებს.

განსაკუთრებულ საფრთხეს შეიცავს ნატოს გადაწყვეტილება აწარმოოს და დასავლეთ ევროპაში განალაგოს საშუალო სიშორის ახალი ამერიკული რაკეტულ-ბირთვული საშუალებანი. თუ იგი განხორციელდა, ევროპის კონტინენტზე ვითარება მკვეთრად გაუარესდება, ვინაიდან ევროპაში გამანადგურებელი პოტენციალის გადიდება გარდაუვალად შეიეზრა პოლიტიკურ კლიმატსა და კონტინენტის ხალხთა სასიცოცხლო ინტერესებს, გამოიწვევს ახალ დიდ ხარჯებს, რაც კიდევ უფრო მეტ ტვირთად დაიწვნებ ხალხს.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომელმაც გადადო საბჭოთა კავშირ-ამერიკის სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების რატიფიკაცია, ზოგიერთ თავის მოკავშირესთან ერთად გამოიწვია გამალებული შეიარაღების შეზღუდვის ბევრი დიდმნიშვნელოვანი ასპექტის შესახებ მოლაპარაკების შეფერხება, ხოლო ზოგიერთი მმართველთანი საერთოდ შეწყვიტა იგი, მოქმედებს საერთაშორისო ნდობისა და დაძაბულობის შენელების ინტერესებს, განიარაღების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალური სესიის გადაწყვეტილებათა საწინააღმდეგოდ. მრავლდება ფაქტები, როცა იგი არღვევს მის მიერ ხელმოწერილ პოლიტიკურ და სავაჭრო-ეკონომიკურ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, დემონსტრაციულად აცხადებს უარს თავის ვალდებულებებზე და ამით ამსხვრევს, საერთაშორისო სამართლით ნაკისრ ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულების პრინციპს, რომელიც გამოცხადებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებითა და სრულიად ევროპის თათბირის საბოლოო აქტით.

სოციალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ ჩაღდება „ცივი ომის“ სულისკვეთების პოლიტიკური და პროპაგანდისტული კამპანიები. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა უპირველესტ ზეგავლენას ახდენს ოლიმპიურ მოძრაობაზე, რომელიც უძველესი დროიდან დღემდე მშვიდობის, ხალხთა თანამშრომლობისა და დაახლოების სულისკვეთებას განასახიერებს.

თათბირზე წარმოდგენილი სახელმწიფოები ხმას იმაღლებენ ყველა ამგვარი ნაბიჯისა და მოქმედების წინააღმდეგ, იმ ცდების წინააღმდეგ, რომ ძირი გამოუთხარონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, შეაფერხონ სახელმწიფოთა თანამშრომლობის განვითარება. ისინი მტკიცედ მოითხოვენ, რომ დადაიგას ნაბიჯები, რომლებმაც შეიძლება გაართულონ ვითარება, რომ ყველა სახელმწიფომ გააერთიანოს მეცადინეობა, რათა შეაჩერონ დაძაბულობის ზრდა, განაგრძონ დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის პოლიტიკა.

თათბირის მონაწილეები მტკიცედ იღვწიან იმისათვის, რომ არ დაუშვან ევროპის კონტინენტზე მტრობისა და უნდობლობის ვითარების აღდგენა. ევროპის ხალხებისათვის, რომლებიც საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ თუ რაოდენ ზეეესბამება დაძაბულობის შენელება მათ ნამდვილ ინტერესებს, დაძაბულობის შენელების პროცესის განგრძობა, თანასწორუფლებანი თანამშრომლობის განვითარება, ისევე როგორც მსოფლიოს ყველა ხალხისათვის, სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმეა. საჭიროა, რომ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა ახლანდელი პოლიტიკური, ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და სხვა მშვიდობიანი ურთიერთობა კი არ შემცირდეს, არამედ კიდევ უფრო განვითარდეს, რათა მათი პოლიტიკური კონტაქტებისა და კონსულტაციების ფარგლებში გაგრძელდეს ევროპისა და მსოფლიოს აქტუალურ პრობლემებზე აზრების, იდეების, მოსაზრებების გაზიარება.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმას, რომ 1978-80 წლებში გამართული სრულიად ევროპის შეხვედრების გამოცდილება გამოვიყენოთ გადაწყვეტილებათა იმ საფუძველზე, რომლებსაც შეიცავს ჰელსინკის საბოლოო აქტი. უნდა უზრუნველვყოთ გარეშოს დაცვის შესახებ სრულიად ევროპის თათბირის შედეგების განხორციელება, მოვაწყოთ ენერგეტიკის შესახებ სრულიად ევროპის თათბირი, რომლისთვის მზადება უკვე დაწყებული. შევთანხმდეთ ტრანსპორტის შესახებ ანალოგიური თათბირის მოწყობის თაობაზე.

ამასთან პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის მონაწილეებს თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ ხაზი გაუსვამ, რომ ევროპის კონტინენტზე დაძაბულობის შენელების პროცესის განგრძობა და გაღრმავება გადამწყვეტ წილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად გაუფრთხილდება სრულიად ევროპის თათბირის მონაწილე ყველა სახელმწიფო ევროპაში უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე შეძენილ დადებითს აქტივს, რამდენად თანმიმდევრულად განხორციელდება ჰელსინკის საბოლოო აქტის ყველა პრინციპი და დებულება.

ამასთან დაკავშირებით ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას აპყრობენ იმას, რომ განხილა ცდები საქმეო ბანდონ სახელმწიფოთა სუვერენიტეტი და მათი საზღვრების ურღვევობა, რაც ეწინააღმდეგება ვალდებულებებს, რომლებიც საბოლოო აქტის მიხედვით იკისრა სრულიად ევროპის თათბირის მონაწილე ყველა სახელმწიფომ.

თათბირზე წარმოდგენილ სახელმწიფოებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მთელ მშვიდობისმოყვარე ქვეყნებთან და საზოგადოებრივ ძალებთან ერთად იცავნენ და დაიცვან საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, მთელი ძალები მოაზმარონ იმას, რომ გადაიქცინონ იგი ყოველისმომცველ უწყვეტ და ყოველმხრივ პროცესად. ისინი კვლავ მზად არიან განავითარონ და გაღრმაონ ურთიერთობა ევროპისა და მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან, გააფართოონ თანამშრომლობის უკვე ნაცადი და დასახონ ახალი გზები.

თათბირის მონაწილეთა რწმენით, ევროპაში დაძაბულობის შენელების, უშიშროების განმტკიცებისა და თანამშრომლობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია და კიდევაც უნდა შეასრულოს სრულიად ევროპის თათბირის მონაწილე სახელმწიფოებს წარმომადგენელთა მადრიდის შეხვედრამ. მათ მიაჩნიათ, რომ ევროპის ახლანდელი ვითარება დაბეჯითებით მოითხოვს, რათა ამ შეხვედრის გულდასმით მომზადებას სათანადო ყურადღება დაუთმოს მისმა ყველა მონაწილემ და რათა ისინი ეცადონ შეიქმნას ნდობისა და ურთიერთგაგების ატმოსფერო, რომელიც საჭიროა შეხვედრის წარმატებისათვის. დიდია მადრიდის შეხვედრის ყველა მონაწილის პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ უზრუნველყონ მისი ჩატარება კონსტრუქციულ ვითარებაში.

პოლიტიკური საკონსულტაციო თათბირის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ არსებობს შესაძლებლობა მადრიდის შეხვედრა დამთავრდეს ევროპის უშიშროების სამხედრო და პოლიტიკური ასპექტების, ყველა დარგში თანამშრომლობის განვითარების პრაქტიკულ ღონისძიებათა შეთანხმებით. ამისათვის საჭიროა ნებისყოფა, საჭიროა შეხვედრის ყველა მონაწილის მეცადინეობა, მათი მზაღყოფნა, რათა ეძებონ და იპოვონ საბოლოო აქტის თითოეული კარის მიხედვით კონსტრუქციულ ღონისძიებათა შეთანხმების შესაძლებლობანი.

ევროპაში მშვიდობის განმტკიცებაზე დამოკიდებულ პრობლემებს შორის ცენტრალური ადგილი ეკუთვნის ახლა კონტინენტზე სამხედრო დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების პრობლემას.

ევროპაში სამხედრო დაძაბულობის საქმეში წინსვლა ობიექტური და ყველაზე მწვავე მოთხოვნაა. უპირველესი მნიშვნელობა ამ კონტექსტში აქვს იმას, რომ განმტკიცდეს და გაფართოვდეს ნდობის ღონისძიებანი, მხარეებმა ხელი აიღონ ძალის გამოყენებასა თუ ძალის გამოყენებით დამუქრებაზე, შეზღუდონ თითოეული სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფების შეიარაღებული ძალები და შეიარაღება მხოლოდ თავდაცვის მოთხოვნილებების შესაბამისად, უარი თქვან სამხედრო უპირატესობის მიღწევის ცდებზე.

თათბირის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ არ არის და არც შეიძლება იყოს დაუძლეველი დაბრკოლებანი ევროპაში სამხედრო დაძაბულობის შენელების სასარგებლოდ პრაქტიკულ გადაწყვეტილებათა გამონახვისათვის, თუ ყველა მხარე ამ ამოცანას მიუდგება იმ სურვილით, რომ შეიტანოს თავისი კონსტრუქციული წვლილი.

ასეთი მიდგომის მაგალითია საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილება ცენტრალური ევროპიდან ცალმხრივი წესით გარკვეული რაოდენობის თავისი ჯარებისა და შეიარაღების, მათ შორის სატანკო ნაწილების გამოყვანის შესახებ. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ყველა სახელმწიფო, რომლებმაც დადებითი შეფასება მისცეს სსრ კავშირის ამ მშვიდობისმოყვარულ ნაბიჯს მისი გამოცხადების მომენტში, კვლავაც სავსებით მხარს უჭერს მის განხორციელებას.

სრულიად ევროპის თათბირის მონაწილე ყველა სახელმწიფოს მთავრობათა წინაშე უკვე ერთი წელია დევს წინადადება ევროპაში სამხედრო დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების კონფერენციის მოწვევის შესახებ, რომელიც ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებმა წამოაყენეს და დაკონკრეტებულია მათი ერთობლივი დოკუმენტებით. ასეთი კონფერენციის ჩატარება შეიძლება დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯად გახდეს ევროპის მშვიდობის საფუძვლების განმტკიცებაში, სრულიად ევროპის თათბირის მონაწილე ყველა სახელმწიფოს ვალდებულებათა შესრულებაში იმ ეფექტიან ღონისძიებათა განხორციელების შესახებ, რომელთა მიზანია სამხედრო კონფრონტაციის შემცირება და განიარაღებისათვის ხელის შეწყობა ევროპაში.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე წარმოდგენილი სახელმწიფოები სრულიად ევროპის თათბირის ყველა მონაწილეს მოუწოდებენ ევროპაში სამხედრო დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების კონფერენციის საკითხში დაიკავონ კონსტრუქციული პოზიცია, რათა მადრიდის შეხვედრაზე მიიღონ გადაწყვეტილება მისი მოწვევის თაობაზე. თავის მხრივ ისინი მზად არიან აუოროდებით შეისწავლონ სხვა სახელმწიფოთა წინადადებანი კონფერენციის მუშაობის წესისა და შინაარსის შესახებ.

თათბირის ყველა მონაწილე მხარს უჭერს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის წინადადებას იმის შესახებ, რომ ევროპაში სამხედრო დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების კონფერენცია გაიმართოს ვარშავაში — ქალაქში, რომელმაც უდიდესი გმირობა და თავდადება გამოიჩინა მეორე მსოფლიო ომის მძიმე განსაცდელის წლებში, ისინი გამოთქვამენ იმედს, რომ საყოველთაო მხარდაჭერას პოვებს ეს წინადადება, რომელსაც დადებითად გამოეხმაურნენ ევროპის ბევრ ქვეყანაში.

თათბირზე წარმოდგენილი სახელმწიფოები აცხადებენ, რომ საჭიროა ევროპაში სამხედრო დაძაბულობის შენელების საკითხებისადმი მიდგომაში ნდობისა და განიარაღების მატერიალური ღონისძიებანი შეხამებული იყოს ომის წარმოქმნის საშიშროების შემცირების, სახელმწიფოთა უშიშროების გარანტიების განმტკიცების პოლიტიკურ და სახელშეკრულებო სამართლებრივ ღონისძიებებთან. ამ მიზანს ისახავს მათი წინადადება, დაიღოს სრულიად ევროპის თათბირის მონაწილე ყველა სახელმწიფოს შორის ხელშეკრულება, რომ პირველები არ გამოიყენებენ ერთმანეთის წინააღმდეგ როგორც ბირთვულ, ისე ჩვეულებრივ შეიარაღებას.

ისინი მხარს უჭერენ ყველა იმ ღონისძიებისა და მორიგების მიღებასა და განხორციელებას, რომელთა მიზანია ევროპაში ძალის გამოუყენებლობისა თუ ძალის დამუქრების გამოუყენებლობის პრინციპის დაცვის პოლიტიკური და სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცება, აგრეთვე ევროპის უბრთივო სახელმწიფოთა უშიშროების გარანტიების განმტკიცების სპეციალურ ღონისძიებათა მიღებას. ასეთი ღონისძიებებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს, რომ ბირთვული სახელმწიფოები არასოდეს არ გამოიყენებენ ბირთვულ იარაღს ევროპის იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, — იმის მიუხედავად მონაწილეობენ თუ არ მონაწილეობენ ისინი სამხედრო კავშირებში, — რომლებსაც არა აქვთ ასეთი იარაღი და მათ ტერიტორიაზე განლაგებული არ არის უცხოეთის ბირთვული იარაღი. ამ სახელმწიფოებს უფლება აქვთ მიიღონ იმის გარანტიაც, რომ მათ წინააღმდეგ, ძალისა თუ ძალით დამუქრების გამოუყენებლობის პრინციპის შესაბამისად, მათ წინააღმდეგ გამოყენებული არ იქნება არავითარი სხვა იარაღი.

პოლიტიკურ საკონსულტაციო თათბირზე წარმოდგენილი სახელმწიფოები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ისეთ დიდ საკითხს, როგორიცაა საშუალო სიშორის რაკეტულ-ბირთვული იარაღის საკითხზე მორიგების შემუშავება.

საშუალო სიშორის რაკეტულ-ბირთვული იარაღის თაობაზე მოლაპარაკება შესაძლებელია, და თათბირის მონაწილენი მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირის წინადადებებს ამის შესახებ. ასეთი მოლაპარაკების დაწყებისათვის საჭიროა მხოლოდ ერთი რამ — ნატომ გაატქმის გადაწყვეტილება ახალ სახეობათა ამერიკული რაკეტულ-ბირთვული იარაღის წარმოებისა და დასავლეთ ევროპაში მისი განლაგების შესახებ, ან, ყოველ შემთხვევაში, შეაჩეროს მისი განხორციელება.

ისინი გამოთქვამენ რწმენას, რომ თუ ყველა სახელმწიფო იხელმძღვანელებს ევროპის ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებით და გამოიჩენს საჭირო პოლიტიკურ ნებას, მაშინ შექმნილი ძალთა დაახლოებითი წონასწორობის შენარჩუნების პირობებში, რასაც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ აღიარებდნენ ნატოს ქვეყნებიც, არა მარტო იქნება თავიდან აცილებული ევროპაში გამალებული ბირთვული შეიარაღების შემდგომი საშიში გაძლიერება, არამედ დაისახება კიდეც უფრო დაბალ დონეებზე ამ წონასწორობის შენარჩუნების შესაძლებლობა.

ევროპის ხალხები უაღრესად არიან დაინტერესებული იმით, რომ რაც შეიძლება მალე დაიწყოს და წარმატებით გაიმართოს მოლაპარაკება საშუალო სიშორის რაკეტულ-ბირთვული იარაღის შესახებ, შეწყდეს გამალებული შეიარაღება, რაკეტულ-ბირთვული არსენალების გაფართოება ევროპის კონტინენტზე. ეს შეესაბამება ყველა ხალხის მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებს.

თათბირზე წარმოდგენილ სახელმწიფოებს ყოველად დაუშვებლად მიაჩნიათ, რომ კიდევ უფრო გაჭიანურდეს ვენის მოლაპარაკება ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალისა და შეიარაღების შემცირების შესახებ. ამ რაიონში თავმოყრილია ჯარებისა და ყველაზე თანამედროვე შეიარაღების უდიდესი მასები და არავის უფლება არა აქვს ჯეროვნად არ შეაფასოს ეს საფრთხე.

ვენის მოლაპარაკების მონაწილე სოციალისტურმა ქვეყნებმა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელეს პოზიციათა დაახლოების ინტერესებისათვის, მაგრამ მოლაპარაკების მონაწილე ნატოს ქვეყნები ხელს არ უწყობენ საქმის წარმატებას, ამ ბოლო ხანს კი მათი პოზიცია განსახილველ საკითხთა არსზე კიდევ უფრო უკან იწევს. ამასთან, პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის მონაწილეთა აზრით ვენის მოლაპარაკებაზე მორიგებათა მიღწევის შესაძლებლობანი სრულიადაც არ არის ამოწურული. ისინი მზად არიან კვლავაც განახორციელონ ღონისძიებანი ისეთი გადაწყვეტილებების ძიებისათვის, რომლებიც არ მოაყენებენ ზიანს არც ერთი მხარის უშიშროებას, შეამცირებენ სამხედრო კონფრონტაციის დონეს ცენტრალურ ევროპაში. ეს მოითხოვს კონსტრუქციულ მიდგომას ვენის მოლაპარაკების ყველა მონაწილისაგან.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე წარმოდგენილი სახელმწიფოები თანამიმდევრულად იღვწიან იმისათვის, რომ განხორციელდეს სამხედრო დაძაბულობის ღონისძიებანი ევროპის სხვა ნაწილებშიც, აგრეთვე ხმელთაშუა ზღვის რაიონში.

ხმელთაშუა ზღვის რაიონის მიმართ შესაბამისი ნაბიჯებით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ამ რაიონზე ნდობის ღონისძიებათა გავრცელება, ამ რაიონში შეიარაღებული ძალების შემცირება. ხმელთაშუა ზღვიდან ბირთვული იარაღით აღჭურვილი სამხედრო ხომალდების გაყვანა, ხმელთაშუა ზღვის ევროპული და არაევროპული უბირთვო ქვეყნების ტერიტორიაზე ბირთვული იარაღის განლაგებაზე უარის თქმა, რაც შეესაბამება ჰელსინკის საბოლოო აქტის სულისკვეთებას, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები მზად არიან აწარმოონ სერიოზული, საქმიანი მოლაპარაკება ყველა ამ საკითხზე.

ასევე თანამიმდევრულად იბრძვიან ისინი ქმედითი ღონისძიებების განსახორციელებლად, რათა არა მარტო ევროპის, არამედ გლობალური მასშტაბითაც უზრუნველყონ გარდატეხა გამალებული შეიარაღების შეზღუდვისა და შეწყვეტის, განიარაღების, განსაკუთრებით ბირთვული განიარაღების კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელების საკითხთა გადაწყვეტაში. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მიერ წამოყენებულ წინადადებათა ფართო კომპლექსი, რომლებიც მოიცავენ ამ პრობლემის ყველა მიმართულებას, სახავს ასეთი მოქმედების საიმედო გზებს. რაც შეეხება თათბირზე წარმოდგენილ სახელმწიფოებს, ისინი დადასტურებენ, რომ მზად არიან ნაცვალგების საფუძველზე შეზღუდონ ან შეამცირონ ყოველგვარი სახეობის შეიარაღება.

თათბირზე წარმოდგენილი სახელმწიფოები, რომლებიც შთაგონებული არიან სოციალიზმისა და კომუნიზმის მაღალი იდეალებით, თავიანთი ხალხებისა და მთელი მსოფლიოს ხალხთა წინაშე კვლავ აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ამრავლონ მეცადინეობა, უფრო აქტიურად იბრძოლონ სამხედრო დაძაბულობის შენელებისათვის, ვამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღებისათვის, მათ შორის სახელმწიფოთა სამხედრო ხარჯების, მათი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირებისათვის.

III.

სხვა საერთაშორისო საკითხებზე აზრთა გაზიარების დროს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციებმა ხაზი გაუსვეს, რომ მათი სახელმწიფოები თანამიმდევრულად იბრძვიან მსოფლიოს ყოველ რაიონში წარმოშობილი კონფლიქტური სიტუაციების სამართლიანი და მტკიცე მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის. არ არსებობს ისეთი პრობლემები, გლობალური თუ რეგიონალური, რომელთა გადაჭრა შესაძლებლად არ მიიჩნევდეთ პოლიტიკური საშუალებებით. ეს მოითხოვს იმას, რომ პატივი სცეს ყველა სახელმწიფოს სუვერენულ უფლებებსა და დამოუკიდებლობას, მთლიანად უარი თქვან მათ საშინაო საქმეებში ჩარევაზე, მათ წინააღმდეგ ძალის გამოყენებასა თუ ძალის გამოყენებით დამუქრებაზე, მათ მიმართ უცხოეთის ბატონობის დამყარების, სხვა ქვეყნების წინააღმდეგ აგრესიის პლაცდარმებად მათი გადაქცევის ცდებზე.

უკვე დიდი ხანია შეიძლებოდა მტკიცე მშვიდობა დამყარებულიყო ახლო აღმოსავლეთში. ეს გზა ცნობილია, იგი არაერთგზის აღუნიშნავთ თათბირზე წარმოდგენილ სახელმწიფოებსაც, — ეს არის ახლო აღმოსავლეთის პრობლემის ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების გზა ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის პალესტინის არაბი ხალხის — მისი წარმომადგენლის — პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის უშუალო მონაწილეობით, ახლო აღმოსავლეთის ყველა სახელმწიფოსა და ხალხის, მათ შორის ისრაელის კანონიერი ინტერესების პატივისცემის საფუძველზე.

ასეთი მოწესრიგება მოითხოვს ისრაელმა გაიყვანოს ჯარები 1967 წელს ოკუპირებული მთელი არაბული ტერიტორიებიდან, აღდგეს პალესტინის არაბი ხალხის თვითგამორკვევის, ამასთან საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლება, უზრუნველყოფილ იქნეს ამ რაიონის ყველა სახელმწიფოს სუვერენიტეტი და უშიშროება. პოლიტიკური მოწესრიგება ახლო აღმოსავლეთში მოითხოვს აგრეთვე, რომ სახელმწიფოებმა თავიანთი მოქმედებით არ გაართულონ ამ მიზნების მიღწევა, რომ არც ერთი სახელმწიფო არ ჩაერიოს ამ რაიონის ქვეყნებისა და ხალხების საშინაო საქმეებში, არ შეეცადოს უკარნახოს მათ როგორი სოციალურ-პოლიტიკური სისტემები უნდა დაამყარონ თავიანთ ქვეყნებში, არ წაუყენოს პრეტენზიები და არ ხელჰყოს მაინი ბუნებრივი რესურსები.

თათბირის მონაწილეებმა აგრეთვე ხაზი გაუსვეს, რომ საჭიროა ავღანეთის გამო შექმნილი მდგომარეობის პოლიტიკური მოწესრიგება. ასეთმა მოწესრიგებამ საიმედოდ უნდა უზრუნველყოს ავღანეთის მთავრობისა და ხალხის წინააღმდეგ გარედან ყოველგვარი ფორმის ჩარევის მთლიანად შეწყვეტა და განუახლებლობა. ავღანეთის მთავრობისა და ხალხის წინააღმდეგ გარედან ყოველგვარი ფორმის ჩარევის მთლიან შეწყვეტასთან ერთად დაიწყება საბჭოთა ჯარების გამოყვანა ავღანეთიდან საბჭოთა კავშირის განცხადებების შესაბამისად.

აზრთა გაზიარების დროს თათბირის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ ირანელი ხალხის ხელშუკავ უფლებას დამოუკიდებლად, გარედან რაიმე ჩარევის გარეშე გადაწყვიტოს თავისი ბედ-იღბალი, განსაზღვროს თავისი განვითარების გზა. ისინი გადაჭრით და კატეგორიულად გმობენ ამას წინათ ირანის ტერიტორიაზე ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მოწყობილ სამხედრო-დივერსიულ ოპერაციას, როგორც ძალადობის, ჩარევის, დამოუკიდებელი სახელმწიფოს სუვერენიტეტის დარღვევის განსაკუთრებით უხეშ აქტს. ისინი ადასტურებენ, რომ ყველა სახელმწიფომ ზუსტად უნდა დაიცვას დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ ვენის კონვენციით ნაკისრი ვალდებულებანი და აცხადებენ, რომ ვერავითარი საბაბი ვერ გაამართლებს რომელმე ქვეყნის სუვერენიტეტის დარღვევას, მასზე ნებისმიერი ფორმის ზემოქმედების მოხდენას.

ისინი დარწმუნებული არიან, რომ ამერიკა-ირანის ურთიერთობაში წარმოშობილი პრობლემები, ისევე როგორც სახელმწიფოთა შორის ყოველგვარი პრობლემები, უნდა გადაიჭრას მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების საფუძველზე, ამასთან მხარეებმა ხელი უნდა აიღონ ყოველგვარ სამხედრო ნაბიჯზე ძალის გამოყენებასა თუ ძალის გამოყენებით დამუქრებაზე.

თათბირის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ ინდოეთის ოკეანის სახელმწიფოთა წინადადებას გადაიქცეს ეს რაიონი მშვიდობის ზონად, რომ მზად არიან მათთან ერთად ითანამშრომლონ ამ საქმეში, მათ შორის ინდოეთის ოკეანის გამო საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც უნდა გაიმართოს 1981 წელს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში. ამასთან მათ აღნიშნეს, რომ ინდოეთის ოკეანეში ამერიკის სამხედრო ფლოტის ყოფნისა და მოქმედების მნიშვნელოვანი გაძლიერება, არსებული უცხოელთის სამხედრო ბაზების გაფართოება და იქ ახალი ბაზების შექმნა პირდაპირ ეწინააღმდეგება მშვიდობის ზონად ინდოეთის ოკეანის გადაქცევის გეგმას, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო, საფრთხეს უქმნის შეიარაღებასა და დამოუკიდებლობას, იწვევს საერთაშორისო დაძაბულობის ახალი კერის შექმნას.

თათბირის მონაწილე ქვეყნები თანმიმდევრულად უჭერენ მხარს ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას იმპერიალიზმის, კოლონიალიზმის, ნეოკოლონიალიზმის, რასიზმის, ყოველგვარი ფორმის ბატონობის წინააღმდეგ, თითოეული ხალხის უფლების პატივისცემისათვის, რომ იყოს თავისი ბედის ბატონ-პატრონი, განაგორციელოს თავისი მისწრაფებანი — განვითარდეს პროგრესის გზით.

ისინი კმაყოფილებით მიესალმებიან ზიმბაბვეს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, რომელმაც დაადგიერგვინა ამ ქვეყნის ხალხის მრავალი წლის ვმირული ბრძოლა კოლონიურ-რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ, თავისუფალი და ღირსეული ცხოვრების უფლებისათვის. თათბირის მონაწილეებმა დაადასტურეს, რომ სოლიდარობით ეკიდებიან ნამიბიელი ხალხის სამართლიან ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, სამხრეთ აფრიკის ხალხს, რომელიც იბრძვის აპარტეიდის რეჟიმისა და რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის.

ახლო თუ შუა აღმოსავლეთი იქნება ეს, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია თუ აფრიკის სამხრეთი, თუ მსოფლიოს ნებისმიერი სხვა რაიონი, სადაც არსებობს პოლიტიკური დაძაბულობა ან კონფლიქტური სიტუაცია, — ყველა სახელმწიფოს უშუალო ვალია, ჯერ ერთი, არაფერი არ მოიმოქმედოს ისეთი, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს მდგომარეობის გაუარესებას, და მეორეც ის, რომ თავისი ობიექტური მიდგომით, თავისი პოლიტიკით ხელი შეუწყოს სიმშვიდის შენელებას, შეიტანოს წვლილი მდგომარეობის ნორმალიზაციაში. თათბირზე წარმოდგენილი სახელმწიფოები ზუსტად იცავენ ამ ხაზს და მოუწოდებენ ყველა სხვა ქვეყნებს ასევე მოიქცნენ.

თათბირის მონაწილე სახელმწიფოები მოითხოვენ, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესი გავრცელდეს მსოფლიოს ყველა რაიონში. არ არის ისეთი ქვეყანა, რომელსაც ხელს არ აძლევდეს ეს, არ არსებობს ისეთი ხალხი, რომლისთვისაც სასარგებლო არ იყოს დაძაბულობის შენელების შედეგები. დაძაბულობის შენელების პოლიტიკას არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს გონივრული ალტერნატივა.

ამასთან დაკავშირებით, თათბირის მონაწილენი მნიშვნელოვან დადებით ფაქტორად მიიჩნევენ ბევრი ქვეყნის სახელმწიფო ხელმძღვანელთა გამოსვლებს, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ქმედითი ღონისძიებების განხორციელებას დაძაბულობის შენელების განმტკიცებისათვის, სახელმწიფოთა ურთიერთობაში ყოველივე იმის აღმოფხვრისათვის, რაც ხელს უშლის ამ პროცესს. ეს ხელისშემშლელი მიზეზებია ზემოქმედებისა და დიქტატის, სახელმწიფოთა სუვერენიტეტის დარღვევის, მათ საშინაო საქმეებში ჩარევის მეთოდები.

-თათბირის მონაწილენი აღნიშნავენ, რომ რთული საერთაშორისო პრობლემების გადაჭრაში კიდევ უფრო გაიზარდა მიუმხრობელი სახელმწიფოების მოძრაობის როლი, რაც თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის მნიშვნელოვანი დადებითი ფაქტორია. ამ სულისკვეთებით აფასებენ ისინი მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების 1979 წლის ჰავანის VI კონფერენციის შედეგებს.

ისინი მხარს უჭერენ კონფერენციის გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანია მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცება, განიარაღების განხორციელება, მშვიდობის ზონების შექმნა, სხვის ტერიტორიებზე უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია, სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში გარედან ყოველგვარი ჩარევის დაუშვებლობა, ხალხთა თავისუფალი და დამოუკიდებელი განვითარების უფლებების უზრუნველყოფა, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების განთავისუფლება იმპერიალისტური, კოლონიალური, ნეო

კომუნიკე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსა და საქართველოს ალკპ ცენტრალურ კომიტეტში

ეროვნული ბიბლიოთეკა

1980 წლის პირველ კვარტალში სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური საბჭოს მიერ წარმოდგენილი მასალები და 1980 წლის პირველ კვარტალში საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების რესპუბლიკური შეჯიბრების გამარჯვებულებად ცნეს:

ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებულნი:
კვების მრეწველობის სამინისტრო-მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	კვების მრეწველობის სამინისტრო
ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო-ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო
სახმომარაგება-საქსახსოფლტექნიკა	სახმომარაგება
საქმთავარენერგო-კავშირგაბმულობის სამინისტრო	კავშირგაბმულობის სამინისტრო
დამზადების სამინისტრო-საქსახსოფლტექნიკა	დამზადების სამინისტრო
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო-ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო
რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქართველოს ჩაი"-რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „სამტრესტი"	რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „სამტრესტი"
საავტომობილო გზების სამინისტრო-მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო	საავტომობილო გზების სამინისტრო
სატყეო მეურნეობის სამინისტრო-მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო	სატყეო მეურნეობის სამინისტრო
სოფლის მეურნეობის სამინისტრო-საქსახსოფლტექნიკა	სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო-საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველო	საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო
საქართველოს საზღვაო სანაოსნო-ამერიკაკავასიის რკინიგზა	საქართველოს საზღვაო სანაოსნო
ვაჭრობის სამინისტრო-ცეკავშირი	ვაჭრობის სამინისტრო
საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო-საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო	საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო
საქნავთობგასაღებამომარაგება-მთავარგაზი	მთავარგაზი
საქჰიდროენერგომშენი-საქმთხვარმონტაჟსპეცმშენი	საქჰიდროენერგომშენი
მშენებლობის სამინისტროსა და სასოფლო-მშენებლობის სამინისტროს შორის შეჯიბრებაში ვერც ერთმა სამინისტრომ ვერ გაიმარჯვა იმის გამო, რომ ვერ შეასრულეს საჯარო სამუშაოთა დავალებანი.	1980 წლის პირველ კვარტალში ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებად ცნეს:

ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებულნი:
ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს შორის:	
აფხაზეთის ასსრ-აჭარის ასსრ	აჭარის ასსრ
ქალაქებს შორის	
ბათუმი—სოხუმი	სოხუმი
ჭიათურა—ტყიბული	ჭიათურა
გორი—ცხინვალი	ცხინვალი
ფოთი—ზუგდიდი	ფოთი
ტყვარჩელი—ტყიბული	ტყიბული
რაიონებს შორის	
ასპინძის—შუახევის	ასპინძის
მესტიის—ორჯონიკიძის	მესტიის
სამტრედიის—ხაშურის	სამტრედიის
დმანისის—დუშეთის	დუშეთის
გალის—აბაშის	აბაშის
გუდაუთის—ცხაკაიას	ცხაკაიას
ზუგდიდის—მახარაძის	მახარაძის
გეგეჭკორის—ოჩამჩირის	გეგეჭკორის
ყაზბეგის—ლენინგორის	ლენინგორის
მცხეთის—ბოლნისის	მცხეთის
თიანეთის — წალკის	თიანეთის
ჩოხატაურის — ლანჩხუთის	ჩოხატაურის
ლენტეხის — ჩხოროწყუს	ლენტეხის
თელავის — ზესტაფონის	თელავის
ახალციხის — ქობულეთის	ქობულეთის
ხობის — სიღნაღის	ხობის
ცაგერის — მაიაკოვსკის	მაიაკოვსკის
წალენჯიხის — ლაგოდეხის	ლაგოდეხის
ყვარლის — ახმეტის	ყვარლის
ქობულეთის — ქალაქ გაგრის ზონა.	ქობულეთის
ბორჯომის — ქალაქ წყალტუბოს ზონა	ქალაქ წყალტუბოს ზონა
ბოგდანოვკის — საგარეჯოს	საგარეჯოს
გარდაბნის — წითელწყაროს	წითელწყაროს
ამბროლაურის — საჩხერის	საჩხერის
გურჯაანის — მარნეულის	გურჯაანის
ზნაურის — ქარელის	ქარელის
გულრიფშის — ქედის	გულრიფშის
ქალაქ თბილისის ლენინის რაიონი — ქალაქ ქუთაისის ლენინის რაიონი	ქალაქ თბილისის ლენინის რაიონი
ადიგენის — ხულოს	ხულოს

გამარჯვებული არ გამოვლინდა შეჯიბრებაში:

ა) აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს შორის — იმის გამო, რომ აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში არ შესრულდა კვერცხის დამზადების და კაპიტალური მშენებლობის დავალებანი, შენელდა ხორცის დამზადების ზრდის ტემპი; სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში არ შესრულდა კვერცხის დამზადების, კაპიტალური მშენებლობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების დავალებანი, შენელდა რძის და კვერცხის დამზადების ზრდის ტემპი, შემცირდა მხვილეფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო წონა;

ბ) ქუთაისსა და რუსთავს შორის — იმის გამო, რომ ვერც ერთ ამ ქალაქში ვერ შესრულდა მთლიანი პროდუქციის მოცულობის გეგმები ვალდებულებებისა და დამატებითი დავალებების გათვალისწინებით, აგრეთვე კაპიტალური მშენებლობის დავალებანი, შემცირდა სამრეწველო წარმოების ტემპი და შრომის ნაყოფიერება, არ შესრულდა კაპიტალური მშენებლობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმა-ვალდებულებანი.

გ) თერჯოლისა და ვანის, ჯავისა და ონის, თეთრი წყაროსა და კასპის, გორისა და ახალქალაქის, სოხუმისა და ხელვაჩაურის, ცხინვალისა და წულუკიძის რაიონებს შორის — იმის გამო, რომ არ შესრულდა მეცხოველეობის ცალკეულ სახეობათა პროდუქტების დამზადების დავალებანი, აგრეთვე გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მიხედვით.

აღინიშნა, რომ სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის დადებითად იმუშავეს საქართველოს სამინისტროებმა, ქალაქ თბილისის, ქალაქ ბათუმის, ქალაქ ფოთის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, წალენჯიხისა და მარნეულის რაიონებმა, ქალაქ ქუთაისის ლენინის რაიონმა.

აჭარის ასსრ, ქალაქების ფოთის, ქუთაისის, რუსთავის, ზუგდიდის, ჭიათურის, ტყიბულის; ორჯონიკიძის, დმანისის, ცხკაიას, ზუგდიდის, მახარაძის, მცხეთის, წალკის, ლანჩხუთის, ზესტაფონის, ახალციხის, სიღნაღის, ცაგერის, მაიაკოვსკის, ონის, თეთრი წყაროს, კასპის, გორის, ახალქალაქის, ხელვაჩაურის, წალენჯიხის, ბორჯომის, ამბროლაურის, საჩხერის, მარნეულის რაიონების, ქალაქ გაგრის ზონის პარტიული, საბჭოთა, ადმინისტრაციული ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყურადღება მიექცა საზოგადოებრივი წესრიგის მდგომარეობის გაუარესებას და წინადადება მიეცათ დასახონ და განახორციელონ რესპუბლიკის ზემოაღნიშნულ ქალაქებსა და რაიონებში ოპერატიული მდგომარეობის ძირეული გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს, სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის ადგილობრივ კომისიებს დაევალათ ფართოდ დანერგონ შეჯიბრებაში ჩაბმულ ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს, ავტონომიურ ოლქს, ქალაქებსა და რაიონებს, სამინისტროებსა და უწყებებს შორის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მიღწევის შესახებ ინფორმაციის, აგრეთვე მშრომელთა წარმომადგენლების დელეგაციების გაცვლა, რაც ხელს შეუწყობს მოწინავე გამოცდილების პოპულარიზაციას, წარმოების რეზერვების მაქსიმალურ მოქცევას ეკონომიკურ ბრუნვაში.

(საქინფორმი).

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის

1980 წლის 14-15 მაისს ვარშავაში გაიმართა ვარშავის შეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირი.

თათბირში მონაწილეობდნენ: ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — ტოდორ ჟივკოვი — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; ვიეი შტოფი — გერმანიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე; ლეონიდ ბრეჟნევი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, დელეგაციის მეთაური; ა ნ. კოსიგინი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; ა. ა. გრომიკო — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი; კ. უ. ჩერნენკო — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი; კ. ვ. რუსაკოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი; ნ. ვ. ოგარკოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე;

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — იანოშ კადარი — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, დელეგაციის მეთაური; დიერდ ლაზარი — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; ემილ ვოიტაშეკი — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი; ეჟი ვაშჩუკი — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი;

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისაგან — ერიხ ჰონეკერი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, დელეგაციის მეთაური; ვილი შტოფი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი; გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; ჰერმან აქსენი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი; ჰანეს ჰოფმანი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი;

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — ედვარდ გიერეკი — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, დელეგაციის მეთაური; ჰენრიკ იაბლონსკი — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე; ედვარდ გიერეკი — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; ალექსანდრ ბაბიუხი — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; ვოიცეხ იარუზელსკი — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი; დობრი ჯუროვი — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო თავდაცვის მინისტრი; დიმიტრი სტანისევი — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი; ალექსანდრ ბალეევი — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის კაბინეტის უფროსი;

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისაგან — ერიხ ჰონეკერი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე; ვილი შტოფი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი; გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; ჰენრიკ იაბლონსკი — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე; ედვარდ გიერეკი — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; ალექსანდრ ბაბიუხი — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; ვოიცეხ იარუზელსკი — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი; დობრი ჯუროვი — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო თავდაცვის მინისტრი; დიმიტრი სტანისევი — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი;

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისაგან — ლ. ი. ბრეჟნევი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, დელეგაციის მეთაური; ა ნ. კოსიგინი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; ა. ა. გრომიკო — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი; კ. უ. ჩერნენკო — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი; კ. ვ. რუსაკოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი; ნ. ვ. ოგარკოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე;

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — იანოშ კადარი — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, დელეგაციის მეთაური; დიერდ ლაზარი — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; ანდრაშ დენეში — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი; ლაიოშ ცინეგე — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი;

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისაგან — გუსტავ ჰუსაკი — ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი, დელეგაციის მეთაური; ლუბომირ შტროუგალი — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ბიუროს თავმჯდომარე; ვასილ ბილიაკი — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი; ბოგუსლავ ჰნოუპეკი — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი;

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. გ. კულიკოვი და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის გენერალური მდივანი ნ. პ. ფირიუბინი.

თათბირი განსაზღვრავს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. გერეკმა. პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე რიგრიგობით თავმჯდომარეობდნენ: ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ტ. ჟივკოვი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ი. კადარი, ჩრდილოეთ ირლანდიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ე. ჰონეკერი.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე შეჯამდა ვარშავის ხელშეკრულების 25 წლის საქმიანობის შედეგები და განიხილეს ევროპაში დაძაბულობის შენელებისა და უშიშროებისათვის, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლის აქტუალური პრობლემები და ამოცანები.

ევროპასა და მსოფლიოში თანამედროვე ვითარების შეფასება და წინადადებანი იმ შემდგომი ნაბიჯების თაობაზე, რომელთა მიზანია ევროპის კონტინენტზე პოლიტიკური და სამხედრო დაძაბულობის შენელების პროცესის განვითარება, გამალებული შეიარაღების ალაგმვის, მთლიანად მსოფლიო პოლიტიკური კლიმატი გაჯანსაღების ქმედით ღონისძიებათა განხორციელება, თათბირის მონაწილეებმა ჩამოაყალიბეს ერთსულოვნად მიღებულ დეკლარაციაში, რომელიც ცალკე ქვეყნდება.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებმა დაადასტურეს თავიანთი მტკიცე გადაწყვეტილება — განაგრძონ ბრძოლა ევროპაში უშიშროების განმტკიცებისა და თანამშრომლობის განვითარებისათვის, საყოველთაო მშვიდობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღებისათვის. ამ ბრძოლაში ისინი მზად არიან მჭიდროდ ითანამშრომლონ ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ძალებთან, რომლებიც დაინტერესებული არიან მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცებით.

დადასტურდა, რომ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა, როგორც თათბირის მომწყობი ქვეყანა, გაავრცელებს დეკლარაციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალურ დოკუმენტად და გააცნობს მას ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ყველა სახელმწიფოს მთავრობებს.

მიღწეულია მორიგება იმის შესახებ, რომ თავის მორიგ სხდომაზე ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების კომიტეტი განიხილავს საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების მადრიდის შეხვედრის მომზადებასთან და ევროპაში სამხედრო დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების კონფერენციის მოწვევასთან.

პოლიტიკურმა საკონსულტაციო კომიტეტმა მოისმინა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშალის ვ. გ. კულიკოვის მოხსენება გაერთიანებული სარდლობის მიერ გაწეული პრაქტიკული მუშაობის შესახებ.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირი მიმდინარეობდა მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში. მან დაადასტურა, რომ მის მონაწილეებს ერთნაირი შეხედულებანი აქვთ განხილულ ევროპისა და საერთაშორისო პრობლემებზე.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა დელეგაციებმა მიიღეს მონაწილეობა მათი ძმური კავშირის 25-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო საიუბილეო ღონისძიებებში.

ერთიანად ვითარებაში

კოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ 15 მაისს ვარშავაში გამართეს დარბაზობა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის გამო.

ამხანაგ ე. გერეკის გამოსვლა

პატივცემულო ამხანაგებო! ძვირფასო მეგობრებო!

უწინარეს ყოვლისა მინდა ერთხელ კიდევ გამოვთქვა კმაყოფილება იმის გამო, რომ ჩვენ შეგვიძლია მოგესალმოთ თქვენ პოლიტიკურ პოლონეთის დელეგაციას ვარშავაში.

სამმოლური მნიშვნელობას იძენს ის ფაქტი, რომ სწორედ ვარშავამ — ზუსტად 25 წლის წინ — მისცა სახელწოდება ჩვენს თავდაცვითს კავშირს — მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას, რამეთუ კავშირი, რომლის სახელი დაკავშირებულია ვარშავასთან — ქალაქთან, რომელსაც ფაშიზმმა მოსპობა დადაუწყვიტა, — შეიძლება იყოს ხელოდ მშვიდობის დაცვის კავშირი.

გავლილია ჩვენი ხელშეკრულების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის ინტენსიური, ნაყოფიერი მუშაობის ორი დღე. ამ მუშაობის შედეგია შესანიშნავი დოკუმენტი, რომელშიც დაძაბულობის გამწვავებისა და „ცივი ომის" სულისკვეთების აღორძინების პოლიტიკას ვუპირისპირებთ მომავლის ჭეშმარიტ სურათსა და ხელშეკრულებიანი განვითარების პროგრამას. ამ დოკუმენტში ჩვენ ასევე გამოვხატავთ ჩვენი ხალხების მისწრაფებას და ანგარიშს ვუწევთ ყველა იმათ, ვისთვისაც ჩვენი მსოფლიოს მშვიდობა ერთ-ერთ მთავარ ღირებულებად ფორმადგენს. ვეყრდნობით ინტენსიურ მდგომარეობის ანალიზსა და მისი განვითარების პერსპექტივებს, ჩვენ კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ: არავითარი გადაჭრული ალტერნატივა არა აქვს ძალადობის შენელების პოლიტიკას. ეს პოლიტიკა ემსახურება ყველა ხალხს, მუდამ არის შესაბამი მიმართულება საერთაშორისო ურთიერთობის ჩამოყალიბების პირობა.

მინდა გამოვთქვა იმედი, რომ ჩვენ მიერ მიღებულ დეკლარაციას ყველა მთავრობა სათანადო ყურადღებითა და გაგებით მოეკიდება, ავრეთვე მხარს დაუჭერენ საზოგადოებრივი ძალები, რადგან მისი მთავარი მიზანი ის არის, რომ აღმოფხვრას ახლანდელი დაძაბულობა და ხელი შეუწყოს დადებითს სამშვიდობო პროცესებს ევროპასა და მთელს მსოფლიოში.

პოლიტიკური დაძაბულობის შენელების პროცესის განმტკიცებისათვის საჭიროა იგი შეივსოს სამხედრო დაძაბულობის შენელებით. მთელი მსოფლიოს მშვიდობას საფრთხეს უქმიდა არა მარტო მოსპობის საშუალებათა უკვე დაგროვებული მარაგი, არამედ — როგორც ეს ხაზგასმულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციაში მშვიდობის სულისკვეთებით ხალხთა აღზრდის შესახებ—გამალებული შეიარაღება, განსაკუთრებით ბირთვული შეიარაღება. ჩვენი სახელმწიფოების მიერ ნავარაუდევი კონფერენცია სამხედრო დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების საკითხებზე ხელს შეუწყობდა კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავებას, რომელთა მიზანი იქნება გამალებული შეიარაღების შეჩერება ევროპაში, შეუქმნიდა ხელშემწყობ წანამძღვრებს განიარაღების პრობლემის გადაწყვეტას. მინდა გულითადი მადლობა გადავუხადო მოძმე პარტიებსა და მთავრობებს მხარდაჭერისათვის, რომელსაც ისინი უწევენ პოლონეთის ინიციატივას, რომ ასეთი კონფერენცია ვარშავაში გაიმართოს.

სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოებმა ახლანდელი თათბირის სულისკვეთებით ერთხელ კიდევ ცხადყვეს თავიანთი იდეური ერთიანობა და ძმობა, აგრეთვე მისწრაფება მჭიდროდ იმოქმედონ საგარეო პოლიტიკაში, განაგრძონ მეცადინეობა მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების საკეთილდღეოდ. ჩვენ სრულ სოლიდარობას ვუცხადებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ლ. ი. ბრეჟნევის, ამხანაგისადმი, ეს ეს ხელს შეუწყობს მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმესა და დაძაბულობის შენელებას.

ვფიქრობ, შეგვიძლია ერთმანეთს მივულოცოთ ვარშავის შეხვედრის შედეგები. თათბირის მუშაობის მსვლელობაში წარმოდგენილი იდეები მომავლისაკენ არის გამიზნული, ხოლო მათი საერთო მნიშვნელოვანი უდიდესი სიკეთე — მშვიდობა. ამ კეთილნებას დიდად აფასებს ჩვენი ხალხი, რომელსაც წარსულში მრავალჯერ განუცდია ომის უბედურებანი. ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ მიერ მიღებულ დოკუმენტს უადრესად მხურვალედ დაუჭერს მხარს პოლონეთის მთელი საზოგადოებრიობა.

მინდა ვისარგებლო ამ შემთხვევით და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს, მთავრობისა და პოლონელი ხალხის სახელით მხურვალედ მოგესალმოთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, მომმე პარტიებს, მთავრობებსა და ხალხებს და ვუსურვო კეთილდღეობა და ახალი მიღწევები. ამ სულისკვეთებით მინდა შემოგთავაზოთ სადღეგრძელო:

— გაუმარჯოს შემდგომ წარმატებებს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში;

— მუდამ ერთად ემოქმედოს ჩვენს მომმე პარტიებსა და სახელმწიფოებს საერთაშორისო ასპარეზზე მტკიცე მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში;

— ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას ვუსურვებ აქ დამსწრე ჩვენი თანამეგობრობის სახელმწიფოთა გამოჩენილ ხელმძღვანელებს, ყველა ჩვენს ძვირფას სტუმარს!

* * *

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა

ძვირფასო ამხანაგო გერეკ!

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

აქ, სამაისო ვარშავაში, აღვნიშნავთ ჩვენი ხელშეკრულების 25-ე წლისთავს, ჩვენი ორგანიზაციის მეოთხედ საუკუნეს.

გონების თვალს რომ ვავლებთ ამ განვლილ 25 წელს, წმინდა სინდისით შეგვიძლია ვთქვათ: ისტორიამ დაადასტურა, თუ რამდენად გამართალი ბ ე ლ ი და შორსმჭვრეტელურია აქტი, რომელიც ჩვენმა სახელმწიფოებმა განაზორციელეს პოლონეთის დედაქალაქში 1955 წლის 14 მაისს. ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციას შეუძლია იამაყოს თავისი საქმიანობის შედეგებით.

ჩვენი კავშირისათვის ყოველთვის უცხო იყო აგრესიული მისწრაფებანი. იგი არასოდეს არ ყოფილა მიმართული რომელიმე ქვეყნისა თუ ქვეყნების ჯგუფის ინტერესების წინააღმდეგ. იგი შეიქმნა ახალი ცხოვრების მშენებლობით დასაქმებული ჩვენი ხალხების მშვიდობიანი შრომის დასაცავად. იგი შეიქმნა იმისათვის, რომ ერთად გვებრძოლა მტკიცე მშვიდობის საქმისათვის, სახელმწიფოთა სუვერე ნ ულ ი უფლებებისა და ხალხთა თავისუფლების პატივისცემისათვის. და იგი ყოველთვის კარგად ასრულებდა და კვლავაც ასრულებს თავის ისტორიულ მისიას.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილეებმა საიმედო ერთობლივი თავდაცვა შექმნეს — და ამით სოციალიზმისადმი აგრესიულად განწყობილ მოძულეებს დაუკ

ძალა განათლებისა

საუბარი აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძესთან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების მე-100 წლისთავთან დაკავშირებით

ჩვენი ხალხი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მე-100 წლისთავს ზეიმობს.

ფიქრი წინ უსწრებს საიუბილეო საღამოს დაწყებას. რაოდენი სიკეთე დათესეს წინაპრებმა, რა ნოყიერი გამოდგა ხნული, მაგრამ როგორი იქნებოდა მომავალი ნაყოფი ამ საზოგადოებისა, საბჭოთა ხელისუფლების ნათელი რომ არა!

1918 წელს დაარსებულ ერთადერთ უმაღლეს სასწავლებელს — უნივერსიტეტს თანდათან შეემატა სხვადასხვა დარგობრივი ინსტიტუტი და დღეს მათი რიცხვი უკვე თითქმის ორი ათეულია.

ყოველი ჩვენგანი ამაყობს დღევანდელ საქართველოში განათლების უმაღლესი დონით, მაგრამ თუ სკოლების რაოდენობა ოთხი ათასს მიაღწევდა, ამაზე ვინ იოცნებებდა. მილიონი მოსწავლე გვყავსო, რომ თქვას კაცმა, ვინმეს გაზვიადებულად მოეჩვენება, არადა, სინამდვილეა!

საბჭოთა ხელისუფლების პირმშოა ჩვენი მეცნიერებათა აკადემია და ორასამდე სამეცნიერო დაწესებულება. ერთ-ერთი დიდი კერა ქართული კულტურისა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტია.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოს დაწყებამდე „კომუნისტის“ კორესპონდენტი სწორედ ამ ინსტიტუტის დირექტორს, ცნობილ ქართველ მეცნიერს, აკადემიკოს **ალექსანდრე ბარამიძეს** გაესაუბრა. ბუნებრივია, მისი ფიქრებიც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და იმ დიდი მემკვიდრეობის გარშემო ტრიალებდა, რაც წინაპართა მიერ XIX საუკუნეში წამოწყებული საერთო საქმის ზედნაშენია.

— პატივცემულო ალექსანდრე, რას გვეტყვით ამ კულტურული მემკვიდრეობითობის შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ გაგრძელდა ჩვენში 1927 წლის შემდეგ საქმე, რისთვისაც მოწოდებული იყო ეს საპატიო საზოგადოება?

— დიახ. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 1927 წლამდე იარსება, შემდგომ კი მისი ფუნქციები უკვე სახელმწიფომ იკისრა. უფრო მეტიც, სპეციალური დეკრეტით საბჭოთა კავშირში და კერძოდ საქართველოში უახლოეს დროში უნდა მომხდარიყო უნიგნურობის ლიკვიდაცია, დაწესდა სავალდებულო სწავლება და ახლა უკვე ჩვენში უნიგნურს ძალიანაც რომ მოინდომოთ, ვეღარ იპოვით.

განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში დიდი ყურადღება ექცევა მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების ღირსეულ დონეზე დაყენებას. ამისათვის, როგორც მოგეხსენებათ, სპეციალური დადგენილებაც კი მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ — „რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. ჩვენი მოვალეობაა ამ დადგენილებას ღირსეულად შევასრულოთ ხორცი.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მესვეურები ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი აუცილებლად და სრულიად ბუნებრივად თვლიდნენ, რომ დიდი ყურადღება დასთმობოდა რუსული ენის სწავლებასაც. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ იაკობ გოგებაშვილმა, რომელმაც შექმნა უკვდავი „დედა ენა“, „რუსსკოე სლოვოც“ დაგვიწერა, ჯერ კიდევ XVII საუკუნის მწერალი არჩილი ამბობდა, რომ ადამიანის ღირსება იმდენად უფრო დიდია, რამდენ ენასაც ფლობს იგი.

ჩვენი ინსტიტუტი, შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, ყოველმხრივ მხარში უდგას ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების საქმეს. ჩვენი თანამშრომლების მონაწილეობით მომზადდა ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო პროგრამები, სახელმძღვანელოები. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ წვეთია ზღვაში და არსებული სახელმძღვანელოები ჩვენ არ გვაკმაყოფილებს, ამიტომ გადაუდებელი ამოცანაა, და ამ საქმეს სათავეში უდგას რესპუბლიკის განათლების სამინისტრო, რომ ახალი სახელმძღვანელოები უფრო დახვეწილი და მაღალხარისხოვანი იყოს.

ერთი სიტყვით, დღითიდღე ძლიერდება შუქი იმ სინათლისა, რომელიც 100 წლის წინათ აანთეს ჩვენმა წინაპრებმა.

„მეგობრობის თეატრის“ მერიდიანზე

ანტისაბჭოური მონაჩმახი

ნიუ-იორკი, 15 მაისი. ოფიციალურმა ვაშინგტონმა, რომელიც სანლოით დაეძებს ყოველგვარ ანტისაბჭოურ მონაჩმახებს, მორიგ „სენსაციას“ მიაგნო. ვიცე-პრეზიდენტმა უ. მონდეილმა ჰაიოს შტატის ქალაქ კლივლენდში გამოსვლისას განაცხადა: „ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ საბჭოთა კავშირი დიდ სამხედრო აეროდრომს აშენებს ავღანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში და ამ აეროდრომზე ბაზირებული ახალი ოვითმფრინავები კონტროლს გაუწევენ სპარსეთის ყურეს“.

მაგრამ ეს „სენსაცია“ უდღეური აღმოჩნდა, სულ რამდენიმე საათში, კომპეტენტურ ექსპერტებთან ერთსულოვანების შემდეგ, უ. მონდეილი იძულებული ,ახდა უკან წაეღო თავისი განცხადება. „შემდგომი ანალიზის შედეგად დაზვერვამ გვაცნობა, აეროდრომის მშენებლობის ცნობები არ დადასტურდაო“, — აღიარა მისმა ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტს, რომელმაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს წიაღში შეთითხნილი მორიგი მონაჩმახი აიტაცა, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. აქ შეიძლებოდა წერტილი დაგვესვა, ერთი გარემოება რომ არა. უკანასკნელ ხანს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ბევრი მაღალი თანამდებობის წარმომადგენელი სულ უფრო ხშირად თხზავს ნაირ-ნაირ ტყუილებს საბჭოთა კავშირის რაღაც „ავბედითი ზრახვების“ შესახებ.

ამ მხრივ ბადალი არა ჰყავს პრეზიდენტის თანაშემწეს ეროვნული უშიშროების საკითხებში ზ. ბჟეზინსკის.. სწორედ ბჟეზინსკი გახლავთ ავტორი საბჭოთა კავშირ-ირანის საზღვრის რაიონში ჩვენი ჯარების კონცენტრაციის შესახებ ამსურდული მონაჭორისა, რომელიც ზარ-ზეიმით აიტაცა ამერიკის პროპაგანდამ. ვაშინგტონელი ავყიები ირანის საჯარო უარყოფამაც კი ,ვერ დააშშმინა, რომლებმაც განაცხადეს, ეს მტკიცებები ყოველად უსაფუძვლოაო.

ასეთი, ერთი მეორეზე მტკნარი მონაჩმახების სია შეიძლებოდა გაგვეგრძელებინა. მათ შორის არის წარმოუდგენელი მონაჭორიც ავღანეთში საბჭოთა ჯარების მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ. ეს სიცრუე თავის დროზე ვამხილეთ. მაგრამ ვაშინგტონში მაინც ვერ ცხრებიან და ტვინს იჭყლეტენ, რა მოიგონონ ახალი.

საკითხავია, ვის რაში სჭირდება ყოველივე ეს? ხომ კარგად არის ცნობილი, რომ შეერთებული შტატები აშენებს აეროდრომებსა და სხვა სამხედრო ობიექტებს შუა აღმოსავლეთისა და იხდოეთის ოკეანის რაიონებში, რომლებიც ათასობით კილომეტრით არის დაშორებული ამერიკის ნაპირებს.

გემოქმედება ნატოელ მოკავშირეებზე

ვაშინგტონი, 15 მაისი. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია აძლიერებს ზამოქმედებას თავის დასავლეთევროპელ მოკავშირეებსა და იაპონიაზე, რათა ჩაბას ისინი ირანის წინააღმდეგ . პოლიტიკურ-ეკონომიკურ ბლოკადაში და მოსპოს ირანის ხალხის მონაპოვრები.

ვაშინგტონში გამოსვლისას პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა ფაქტობრივად ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეებისაგან მოითხოვა შემოიღონ „სანქციები“ ირანის წინააღმდეგ. ამასთან პრეზიდენტს არ დაუმალავს, რომ მოკავშირე ქვეყნებს მაინცდამაინც დიდი სურვილი არა აქვთ მონაწილეობა მიიღონ აღვირახსნილ ანტიირანულ კამპანიაში, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ეწევა. კარტერმა თქვა, რომ იგი იმედს ამყარებს დასავლეთ ევროპაში სახელმწიფო მდივნის ე. მასკის გამგზავრებაზე, რომელიც იქ განიხილავს „ირანის პრობლემას“ და, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების ნატოელი პარტნიორების ცდებს უარი თქვან უწინდელ „ვალდებულებებზე“, რომლებიც მათ იძულებით იკისრეს ვაშინგტონის მსირებული ზემოქმედებით.

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის წარმომადგენლებმა გადაკვრით აღნიშვნეს, რომ ბრიუსელში დაწყებული ნატოს სამხედრო დაგეგმვის კომიტეტის სხდომის მსვლელობაში ამერიკის წარმომადგენელნი შიმართავენ „ხელების გადაგრეხის“ ტაქტიკას, რათა მიაღწიონ ატლანტიკის კავშირის „ერთიანობას ირანის საკითხში“, „გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ე. მასკიმ ბრიუსელში ჩასვლის შემდეგ მოუწოდა ამერიკის შეერთებული შტატების ნატოელ მოკავშირეებს გამოიჩინონ „სიმტკიცე“ ირანის წინააღმდეგ ფართო „სანქციების“ გამოცხადებაში“.

ვაშინგტონი. ამერიკის სენატის ასიგნებათა კომისიამ მოიწონა კანონპროექტი წვეულმდელობა გადაკვრით აღნიშვნეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ბიუჯეტიდან 1980 წლის 1 იანვრის განცხადებაში მოცემული საერთო ამინისტიისა და ამგვარი შემდგომი განცხადებების შესაბამისად, მათ პატივისცემით მოეკიდებიან, მიეცემათ სრული თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის გარანტია, შეძლებენ თავისუფლად აირჩიონ საცხოვრებელი ადგილი და საქმიანობა, რისთვისაც მათ ყველა შესაძლებლობა შეექმნებათ. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მოუწოდებს პაკისტანის ხელისუფლებსა და სხვა მეზობელი სახელმწიფოების ხელისუფლებს ხელი შეუწყონ აღნიშნულ პირთა თავისუფალ დაბრუნებას ავღანეთში. თუ მიუხედავად ამისა ავღანელთა რომელმე ნაწილი არ ისურვებს დაბრუნებას, ამასთან დაკავშირებული საკითხები აგრეთვე უნდა განიხილონ ორმხრივი მოლაპარაკების დროს შესაბამის მორიგებათა მიღწევის მიზნით.

3. პირველ და მეორე პუნქტებში აღნიშნული პრობლემების ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებების მიღწევისათვის და ამ საფუძველზე ავღანეთსა და მის მეზობლებს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მზად არის განიხილოს ორმხრივი ურთიერთობის სხვა საკითხებიც, მათ შორის ისეთიც, რომლებიც დიდი ხანია უთანხმოების საგნის წარმოადგენს.

4. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც წინადადებას აყენებს გაიმართოს ორმხრივი მოლაპარაკება პაკისტანთან და ირანთან რაიმე წინასწარი პირობების დაუთქმელად, მოითხოვს, რომ ამ მოლაპარაკებს დროს არ გაგრძელდეს მტრული საქმიანობა ავღანეთის წინააღმდეგ. შესაბამისად, პოლიტიკური მოწესრიგების პროცესს დაწყებისთანავე უნდა განხორციელდეს პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც დამაჯერებლად დაადასტურებს, რომ ამ ჩარევაში მონაწილე ყველა სახელმწიფო შეწყვეტს შეიარაღებულ და ნებისმიერ სხვა ჩარევას ავღანეთის საქმეებში.

5. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნია, რომ ავღანეთისა და პაკისტანის, ავღანეთისა და ირანის ორმხრივ მორიგებათა კომპლექსის გარდა, პოლიტიკური მოწესრიგების შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს ზოგიერთი სახელმწიფოს მხრივ შესაბამისი პოლიტიკური გარანტიები, რომლებიც მისაღები იქნება როგორც ავღანეთისათვის, ისე ორმხრივი მორიგების სხვა მონაწილეებისთვისაც. მათ შორის, როგორც ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას მიაჩნია, უნდა იყვნენ საბჭოთა კავშირი და შეერთებული შტატები. გარანტიების მთავარი არსი ის უნდა იყოს, რომ ამ გარანტიების მიმცემი ქვეყნები თვითონ პატივს სცემენ და თავიანთი ავტორიტეტით განმტკიცებენ პაკისტანთან და ირანთან ავღანეთის ორმხრივ მორიგებას, რაც შეეხება გარანტიებს ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ, ისინი უნდა შეიცავდეს მკაფიოდ გამოხატულ ვალდებულებას, რომ არ აწარმოებს არავითარ ძირგამომთხრელ საქმიანობას ავღანეთის წინააღმდეგ, მათ შორის მესამე ქვეყნების ტერიტორიიდან.

6. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აცხადებს, რომ პოლიტიკური მოწესრიგების კონტექსტით უნდა გადაწყდეს ავღანეთის ტერიტორიიდან საბჭოთა ჯარის შეზღუდული კონტინგენტის გაყვანის საკითხიც. ავღანეთში შეიარაღებული და მის საშინაო საქმეებში ნებისმიერი სხვა ფორმის ჩარევის შეწყვეტა და გარანტირებული განუახლებლობა აღმოფხვრის მიზეზებს, რომლებმაც ავღანეთი აიძულა ეთხოვა სსრ კავშირისათვის მის ტერიტორიაზე შეეყვანა აღნიშნული კონტინგენტი. კონკრეტულად ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გაყვანის საკითხი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ გადაწყდება ავღანეთ-პაკისტანისა და ავღანეთ-ირანის ორმხრივი მორიგების ეფექტიანი გარანტიების საკითხი.

7. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის აზრით, პოლიტიკური მოწესრიგების პროცესში უნდა გაითვალისწინონ სამხედრო-პოლიტიკური საქმიანობაც , ინდოეთის ოკეანისა და სპარსეთის ყურის რაიონში იმ სახელმწიფოთა მხრივ, რომლებიც აღნიშნულ რაიონს არ განეკუთვნებიან. იზიარებს რა სხვა სახელმწიფოთა შეშფოთებას ინდოეთის ოკეანესა და სპარსეთის ყურეში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ყოფნის გაძლიერების გამო. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მხარს უჭერს წინადადებას გადაიქცეს ეს რაიონი მშვიდობის ზონად, მოისპოს იქ უცხოეთის სამხედრო ბაზები და განხორციელდეს დაბალპულობის შემცირებისა და უშიშროების განმტკიცების სხვა ღონისძიებანი.

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც პოლიტიკური მოწესრიგების შესახებ ამ წინადადებებს აყენებს, კიდევ ერთხელ გარკვევით აცხადებს, რომ საკითხები, რომლებიც ავღანეთის ინტერესებს ეხება, არ შეიძლება განხილულ იქნეს და, მით უმეტეს, გადაწყდეს ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მონაწილეობის გარეშე ან მისი გვერდის ავლით. ამასთან ავღანეთის მთავრობას სასარგებლოდ მიაჩნია სხვა სახელმწიფოთა მეცადინეობა, რომელიც ხელს შეუწყობს მოლაპარაკების დაწყებას. ამ თვალსაზრისით იგი მიესალმება და მხარს უჭერს მიუმხრობლობის მოძრაობის თავმჯდომარის — კუბის რესპუბლიკის ინიციატივას, რომ მზად არის კეთილი სამსახური გაუწიოს.

ავღანეთის . დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას იმედი აქვს, რომ პოლიტიკური მოწესრიგების მის მიერ წამოყენებულ კონკრეტულ პროგრამას ჯეროვანი გაგებით მოეკიდება და დადებითად გამოეხმაურება ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობა. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მოელის, რომ მის წინადადებებს პაკისტანთან ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ კონსტრუქციულად და პოზიტიურად შეხვდება პაკისტანის მთავრობა.

ეს შესაძლებელს გახდის პრაქტიკულად დაიწყოს მოლაპარაკების გზით ზემოაღნიშნული პრობლემების მოწესრიგება.

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადება

ქაბული, 14 მაისი. (საკდესი). ბახთარის სააგენტომ გაავრცელა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის შემდეგი განცხადება, რომელიც ირანთან და პაკისტანთან ურთიერთობის მოწესრიგების გზებს ეხება.

ავღანელმა ხალხმა, განახორციელა რა 1978 წლის აპრილში ეროვნულ-დემოკრატიული რევოლუცია, საბოლოო არჩევანი მოახდინა და დაადგა ქვეყანაში ახალი საზოგადოების აშენების გზას, საზოგადოებისა, რომელსაც საფუძვლად უდევს თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპები და გამორიცხავს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას.

ავღანეთის ახალ საზოგადოებას საფუძვლად უდევს ხალხის ეროვნული, ისტორიული, კულტურული და რელიგიური ტრადიციების ღრმა პატივისცემა და დაცვა და ისლამის, როგორც წმიდათაწმიდა რელიგიის პრინციპების უმაცრესი დაცვა. ამასთან მუსლიმანური კანონით გარანტირებულია რელიგიური კულტების აღსრულების თავისუფლება.

ავღანელ ხალხს სურს აშენოს ახალი ცხოვრება მშვიდობის პირობებში, განავითაროს მეგობრობა და თანამშრომლობა ყველა მეზობელთან, მაჰმადიანურ ქვეყნებთან, ყველა სხვა სახელმწიფოსთან. მაგრამ იგი წააწყდა იმპერიალისტური და სხვა რეაქციული ძალების უხეშ ჩარევას, კერძოდ შეიარაღებულ ჩარევასაც თავის საშინაო საქმეებში. ავღანელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაიცვას სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, იმის უფლება, რომ თვითონ განსაზღვროს სოციალურ-პოლიტიკური წყობილება, რომელშიც მას ცხოვრება სურს.

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ადასტურებს, რომ, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ძირითადი პრინციპების შესაბამისად, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის საფუძველია მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები და პოზიტიური და აქტიური მეუმხრობლობის პოლიტიკა, და აცხადებს, რომ ესწრაფვის პოლიტიკურ მოწესრიგებას, რათა უზრუნველყოს ავღანეთის წინააღმდეგ მიმართული აგრესიული მოქმედების, ძირგამომთხრელი აქციებისა და მის საშინაო საქმეებში გარეგან ჩარევის ყოველი სხვა ფორმის სრული და გარანტირებული შეწყვეტა, რათა აღმოიფხვრას ამ რაიონში შექმნილი დაძაბულობა და დაძლეულ იქნეს უთანხმოება მშვიდობიანი საშუალებებით, მოლაპარაკების გზით.

პოლიტიკური მოწესრიგების პროგრამას შეიძლება საფუძვლად დაედოს შემდეგი დებულებანი:

1. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობას სთავაზობს გამართონ ავღანეთ-ირანის მოლაპარაკება, რათა შემოუშვონ ორმხრივი შეთანხმება ჩვენი ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობისა და ყოველმხრივი ხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარების შესახებ. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აგრეთვე სთავაზობს პაკისტანის მთავრობას გამართონ ავღანეთ-პაკისტანის მოლაპარაკება, რათა შეიმუშაონ ორმხრივი შეთანხმება ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ. ასეთი შეთანხმებანი უნდა შეიცავდეს საყოველთაოდ აღიარებულ დებულებებს, რომლებიც ეხება ერთმანეთის სუვერენიტეტის პატივისცემას, მზადყოფნას განავითაროს ურთიერთობა კეთილმეზობლობისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების საფუძველზე, აგრეთვე კონკრეტულ ვალდებულებებს არ დაუშვან ერთმანეთის წინააღმდეგ შეიარაღებული და ყოველი სხვა მტრული საქმიანობა თავიანთი ტერიტორიიდან.

2. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა კვლავ მოუწოდებს ამა თუ იმ მიზეზის გამო პაკისტანისა და სხვა მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიაზე დროებით მყოფ ავღანელებს დაბრუნდნენ სამშობლოში და ადასტურებს, რომ ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის 1980 წლის 1 იანვრის განცხადებაში მოცემული საერთო ამინისტიისა და ამგვარი შემდგომი განცხადებების შესაბამისად, მათ პატივისცემით მოეკიდებიან, მიეცემათ სრული თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის გარანტია, შეძლებენ თავისუფლად აირჩიონ საცხოვრებელი ადგილი და საქმიანობა, რისთვისაც მათ ყველა შესაძლებლობა შეექმნებათ. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მოუწოდებს პაკისტანის ხელისუფლებსა და სხვა მეზობელი სახელმწიფოების ხელისუფლებს ხელი შეუწყონ აღნიშნულ პირთა თავისუფალ დაბრუნებას ავღანეთში. თუ მიუხედავად ამისა ავღანელთა რომელმე ნაწილი არ ისურვებს დაბრუნებას, ამასთან დაკავშირებული საკითხები აგრეთვე უნდა განიხილონ ორმხრივი მოლაპარაკების დროს შესაბამის მორიგებათა მიღწევის მიზნით.

3. პირველ და მეორე პუნქტებში აღნიშნული პრობლემების ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებების მიღწევისათვის და ამ საფუძველზე ავღანეთსა და მის მეზობლებს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მზად არის განიხილოს ორმხრივი ურთიერთობის სხვა საკითხებიც, მათ შორის ისეთიც, რომლებიც დიდი ხანია უთანხმოების საგნის წარმოადგენს.

4. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც წინადადებას აყენებს გაიმართოს ორმხრივი მოლაპარაკება პაკისტანთან და ირანთან რაიმე წინასწარი პირობების დაუთქმელად, მოითხოვს, რომ ამ მოლაპარაკებს დროს არ გაგრძელდეს მტრული საქმიანობა ავღანეთის წინააღმდეგ. შესაბამისად, პოლიტიკური მოწესრიგების პროცესს დაწყებისთანავე უნდა განხორციელდეს პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც დამაჯერებლად დაადასტურებს, რომ ამ ჩარევაში მონაწილე ყველა სახელმწიფო შეწყვეტს შეიარაღებულ და ნებისმიერ სხვა ჩარევას ავღანეთის საქმეებში.

5. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნია, რომ ავღანეთისა და პაკისტანის, ავღანეთისა და ირანის ორმხრივ მორიგებათა კომპლექსის გარდა, პოლიტიკური მოწესრიგების შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს ზოგიერთი სახელმწიფოს მხრივ შესაბამისი პოლიტიკური გარანტიები, რომლებიც მისაღები იქნება როგორც ავღანეთისათვის, ისე ორმხრივი მორიგების სხვა მონაწილეებისთვისაც. მათ შორის, როგორც ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას მიაჩნია, უნდა იყვნენ საბჭოთა კავშირი და შეერთებული შტატები. გარანტიების მთავარი არსი ის უნდა იყოს, რომ ამ გარანტიების მიმცემი ქვეყნები თვითონ პატივს სცემენ და თავიანთი ავტორიტეტით განმტკიცებენ პაკისტანთან და ირანთან ავღანეთის ორმხრივ მორიგებას, რაც შეეხება გარანტიებს ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ, ისინი უნდა შეიცავდეს მკაფიოდ გამოხატულ ვალდებულებას, რომ არ აწარმოებს არავითარ ძირგამომთხრელ საქმიანობას ავღანეთის წინააღმდეგ, მათ შორის მესამე ქვეყნების ტერიტორიიდან.

6. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აცხადებს, რომ პოლიტიკური მოწესრიგების კონტექსტით უნდა გადაწყდეს ავღანეთის ტერიტორიიდან საბჭოთა ჯარის შეზღუდული კონტინგენტის გაყვანის საკითხიც. ავღანეთში შეიარაღებული და მის საშინაო საქმეებში ნებისმიერი სხვა ფორმის ჩარევის შეწყვეტა და გარანტირებული განუახლებლობა აღმოფხვრის მიზეზებს, რომლებმაც ავღანეთი აიძულა ეთხოვა სსრ კავშირისათვის მის ტერიტორიაზე შეეყვანა აღნიშნული კონტინგენტი. კონკრეტულად ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გაყვანის საკითხი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ გადაწყდება ავღანეთ-პაკისტანისა და ავღანეთ-ირანის ორმხრივი მორიგების ეფექტიანი გარანტიების საკითხი.

7. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის აზრით, პოლიტიკური მოწესრიგების

გვაცყობინებენ საკლესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები

საერთაშორისო ცხოვრება

დღეს ამიწის ზურგზე

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადება

ნიუ-იორკი, 15 მაისი. ოფიციალურმა ვაშინგტონმა, რომელიც სანლოით დაეძებს ყოველგვარ ანტისაბჭოურ მონაჩმახებს, მორიგ „სენსაციას“ მიაგნო. ვიცე-პრეზიდენტმა უ. მონდეილმა ჰაიოს შტატის ქალაქ კლივლენდში გამოსვლისას განაცხადა: „ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ საბჭოთა კავშირი დიდ სამხედრო აეროდრომს აშენებს ავღანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში და ამ აეროდრომზე ბაზირებული ახალი ოვითმფრინავები კონტროლს გაუწევენ სპარსეთის ყურეს“.

მაგრამ ეს „სენსაცია“ უდღეური აღმოჩნდა, სულ რამდენიმე საათში, კომპეტენტურ ექსპერტებთან ერთსულოვანების შემდეგ, უ. მონდეილი იძულებული ,ახდა უკან წაეღო თავისი განცხადება. „შემდგომი ანალიზის შედეგად დაზვერვამ გვაცნობა, აეროდრომის მშენებლობის ცნობები არ დადასტურდაო“, — აღიარა მისმა ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტს, რომელმაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს წიაღში შეთითხნილი მორიგი მონაჩმახი აიტაცა, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. აქ შეიძლებოდა წერტილი დაგვესვა, ერთი გარემოება რომ არა. უკანასკნელ ხანს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ბევრი მაღალი თანამდებობის წარმომადგენელი სულ უფრო ხშირად თხზავს ნაირ-ნაირ ტყუილებს საბჭოთა კავშირის რაღაც „ავბედითი ზრახვების“ შესახებ.

ამ მხრივ ბადალი არა ჰყავს პრეზიდენტის თანაშემწეს ეროვნული უშიშროების საკითხებში ზ. ბჟეზინსკის.. სწორედ ბჟეზინსკი გახლავთ ავტორი საბჭოთა კავშირ-ირანის საზღვრის რაიონში ჩვენი ჯარების კონცენტრაციის შესახებ ამსურდული მონაჭორისა, რომელიც ზარ-ზეიმით აიტაცა ამერიკის პროპაგანდამ. ვაშინგტონელი ავყიები ირანის საჯარო უარყოფამაც კი ,ვერ დააშშმინა, რომლებმაც განაცხადეს, ეს მტკიცებები ყოველად უსაფუძვლოაო.

ასეთი, ერთი მეორეზე მტკნარი მონაჩმახების სია შეიძლებოდა გაგვეგრძელებინა. მათ შორის არის წარმოუდგენელი მონაჭორიც ავღანეთში საბჭოთა ჯარების მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ. ეს სიცრუე თავის დროზე ვამხილეთ. მაგრამ ვაშინგტონში მაინც ვერ ცხრებიან და ტვინს იჭყლეტენ, რა მოიგონონ ახალი.

საკითხავია, ვის რაში სჭირდება ყოველივე ეს? ხომ კარგად არის ცნობილი, რომ შეერთებული შტატები აშენებს აეროდრომებსა და სხვა სამხედრო ობიექტებს შუა აღმოსავლეთისა და იხდოეთის ოკეანის რაიონებში, რომლებიც ათასობით კილომეტრით არის დაშორებული ამერიკის ნაპირებს.

მღელვარება სამხრეთ კორეაში

ტოკიო, 15 მაისი. აქ მიღებული ცნობებით, სამხრეთ კორეაში სულ უფრო ფართო ხასიათს იღებს ,ხალხის მძლავრი გამოსვლები დემოკრატიული რეფორმებისათვის, საგანგებო წესების გაუქმებისათვის.

რამდენიმე დღეა გრძელდება სეულის ცამეტივე უნივერსიტეტის სტუდენტთა მღელვარება.

როგორც კიოდო ცუსინის საგენტო იუწყება სეულიდან, ამერიკა-სამხრეთ კორეის გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდალი ჯ. ა. უიკჰემი დღეს სასწრაფოდ გაფრინდა ვაშინგტონში კონსულტაციისათვის.

ᲡᲘᲛᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲕᲐᲠᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲠ

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

დამთავრდა აფხაზური და ქართული მუსიკის დღეები, რომელიც საზეიმო ვითარებაში მიმდინარეობდა აფხაზეთში. მუსიკის დღესასწაული ჭეშმარიტად ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობისა და რეზონანსის მოვლენა გახდა აფხაზი და ქართველი ხალხების ,ცხოვრებაში. ამ დიდ ფორუმზე გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებთან ერთად აყოერდა აფხაზური მელოდიები, აფხაზი კომპოზიტორების რ. ეუმბას, ა. ჩიჩბას, ახალგაზრდა კომპოზიტორის ვ. ჭკადუას ნაწარმოებები.

14 მაისს აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის დარბაზში გაიმართა კამერული და სიმფონიური მუსიკის კონცერტი, შესრულდა აფხაზ და ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები, მუსიკის მოყვარულნი დიდხანს უკრავდნენ ტაშს თბილისის ზ. ფალიაშვილის. სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტს ლ. ასათიანს, მუსიკოს-შემსრულებელს, ამერიკაკვკასის კონკურსის ლაურეატს ციცინო ნამორაძეს, აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს ბ. ამიჩბას და სხვებს.

აფხაზური და ქართული მუსიკის სახელოვნად წარმომდგენლებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს ინდუსტრიული ტყავარჩელის მშრომელებმა.

საზეიმო დღეებში, გარდა პროგრამით გათვალისწინებული კონცერტებისა, აფხაზ და ქართველ კომპოზიტორებს, მუსიკოსებს შემსრულებლებს შეხვედრები ჰქონდათ ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების მშრომელებთან.

ი. გოგებჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.



სიმეები ჩვენ ვართ ყველაო

ᲕᲘᲓᲐ